ხელშეკრულება №2

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ატენი 15 თებერვალი 2019წ.

ერთის მხრივ, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ონიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კაია“ , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სადირეთთინ კაია (პ/ნ59891000209) სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია რეზინის ხელთათმანი(CPV:18100000); თხევადი საპონი(CPV:33711900); ჭურჭლის სარეცხი საშუალება ჟელე ფეირი (CPV:39812100); სარეცხი ჟელე(ჭურჭლის სარეცხი საშუალება ფეირი 1350გრ(CPV:39800000); მჟავა(CPV:39812100); მტვრის ტილო(CPV:39830000);იატაკის ტილო(CPV:39830000); მინის საწმენდი სითხე (CPV:3980000);ტუალეტის ქაღალდი (CPV:33761000), ჯაგრისი(CPV:39224200), შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 348,50 (სამასორმოცდარვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს. .

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ.გორი,ატენი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 11. შეტყობინება

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 12. გადასახადები და დაბეგვრა

12.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლა
ს/კ 218048404
მის: გორის რაიონი, სოფელი ატენი
ტელ: 577 922 553

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22

ა/ა GE53LB0121192904295000

დირექტორი: ნინო ონიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „კაია“
ს/კ 417886719
მის.: გორი, ჭავჭავაძის ქ. N24
ტელ.:599 00 94 60

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE46BG0000000566527900

დირექტორი: სადირეთთინ კაია

_____
(ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვის ობიექტია:

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1	იატაკის საწმენდი ტილო	ცალი	12	1,50	18,00
2	მტვრის ტილო	ცალი	10	3,50	35,00
3	მტვრის ჩოთქები ჭერისთვის	ცალი	2	10,00	20,00
4	ტუალეტის ჩასარეცხი სუნიანი	ცალი	2	2,50	5,00
5	მინის საწმენდი სითხე	ცალი	4	4,50	22,00
6	კარების, კედლის სახეხები	ცალი	10	0,50	5,00
7	სახეხი ჩოთქი	ცალი	4	5,00	20,00
8	მჟავა	ცალი	4	3,50	14,00
9	სარეცხი ჟელე	ცალი	4	1,75	7,00
10	სარეცხი საშუალება ფეირი	ცალი	5	5,50	27,50
11	ქაღალდი	ცალი	12	1,50	18,00
12	თხევადი საპონი	ცალი	2	12,0	24,00
13	რეზინის ხელთათმანი	ცალი	4	3,50	14,00
14	ტუალეტის ქაღალდი	შეკვრა	120	0,50	60,00
15	ქლორი	ცალი	2	7,00	14,00
16	სარეცხი საშუალება	კგ	10	4,50	45,00
სულ ღირებულება: სამასორმოცდარვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი					348,50

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო

სკოლის დირექტორი: /ნინო ონიაშვილი/

შპს „კაია“-ს დირექტორი / სადირეთთინ კაია /

მიღება-ჩაბარების აქტი

ატენი 15 თებერვალი, 2019 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „კაია“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სადირეთთინ კაია სახით (პ/ნ 59861000209), ხოლო მეორეს მხრივ სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ონიაშვილის სახით, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო შესყიდვის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული საქონელი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 348.50 (სამასორმოცდარვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენის საჯარო

№	**დასახელება**	**განზომილების ერთეული**	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**საერთო**
1	იატაკის საწმენდი ტილო	ცალი	12	1,50	18,00
2	მტვრის ტილო	ცალი	10	3,50	35,00
3	მტვრის ჩოთქები ჭერისთვის	ცალი	2	10,00	20,00
4	ტუალეტის ჩასარეცხი სუნიანი	ცალი	2	2,50	5,00
5	მინის საწმენდი სითხე	ცალი	4	4,50	22,00
6	კარების, კედლის სახეხები	ცალი	10	0,50	5,00
7	სახეხი ჩოთქი	ცალი	4	5,00	20,00
8	მჟავა	ცალი	4	3,50	14,00
9	სარეცხი ჟელე	ცალი	4	1,75	7,00
10	სარეცხი საშუალება ფეირი	ცალი	5	5,50	27,50
11	ქაღალდი	ცალი	12	1,50	18,00
12	თხევადი საპონი	ცალი	2	12,0	24,00
13	რეზინის ხელთათმანი	ცალი	4	3,50	14,00
14	ტუალეტის ქაღალდი	შეკვრა	120	0,50	60,00
15	ქლორი	ცალი	2	7,00	14,00
16	სარეცხი საშუალება	კგ	10	4,50	45,00

სულ ღირებულება: სამასორმოცდარვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი	348,50

სკოლის დირექტორი: /ნინო ონიაშვილი/

შპს „კაია“-ს დირექტორი / სადირეთთინ კაია /

Sadirett in Kaya

Подписано цифровой подписью: Sadirettin Kaya
Дата: 2019.02.18 14:13:03 +04'00'